



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-3825050309**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

თქვენი 2024 წლის 22 ოქტომბრის N01/1578 და 2025 წლის 14 იანვრის N01/5 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე- ს/კ02.03.04.186 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამასთან, მითითებული საკადასტრო ერთეული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად მდებარეობს **საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ 3)**.

დადგენილების დანართი 3-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3)** წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის არაერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა. მშენებლობის ნებადართული სახეობებია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი; საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; სასტუმრო; სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა; კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას; საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური); მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს; რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი; სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი; ადმინისტრაციული ობიექტი; ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა; ოფისი; ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს: მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს; სავაჭრო ცენტრი.

განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 400 მ², ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისთვის 600 მ², ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

რაც შეეხება, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას, აღნიშნული ტერიტორიის სისპასხელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მიწის ნაკვეთის (ს/კ:02.03.04.186) გასხვისების პროცედურები.

რაც შეეხება ინფორმაციის მოწოდებას, ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე გაცემულია თუ არა მართლწომიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც არსებობის შემთხვევაში მოთხოვნილია დეტალური ინფორმაცია ამ უკანასკნელზე. ასევე, ექვემდებარება თუ არა დასახლებული უძრავი ქონება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებას. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ იძებნება სრულყოფილი სახით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია სახელმძღვანელოდ.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



E-MAIL: RUSTAVI.MUNICIPALITY@RUSTAVI.GOV.GE WEB: WWW.RUSTAVI.GOV.GE

ქალაქი რუსთავი, მეგობრობის გამზირი N 20ბ / 20B MEGOBROBA AVE, RUSTAVI, GEORGIA, 3700. TEL: 1300